თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 22

28 ნოემბერი 2019 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 23 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **არჩილ თხლაშიძე**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	**გიგა ორკოდაშვილი**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**ნანა ხვისტანი;**
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**დავით გოგოშვილი;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**ლევან ლილუაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე	**მაია მარკოზაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე	**ტიტე დარეჯანიშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე	**არჩილი თვალიაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე	**ალექსი ძულიაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე	**ზურაბ მუსაევი;**

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე **ბაადური რევაზიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარის მოადგილე **ზურაბ ნაცარაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე **ვასილ არაბული;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ქიზიყელაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე **გიგა მამუკელაშვილი;**

საკრებულოს წევრები: ირაკლი სულხანიშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, გურამ წულუკიძე, ლევან მრელაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბი ლილუაშვილი, ბესიკ გაიპარაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი,** ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე,** ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **დავით ქსოვრელიშვილი,** ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი **ეკატერინე მიქელაძე;**
საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი;**
საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები: **ნინო ტაბიძე, ნინო ასანაშვილი, ნიკოლოზ ესიტაშვილი, სოფიო ოხანაშვილი;**
მოქალაქეები: **ა.მჭედლიშვილი, მ.მოსიაშვილი; ნ.ბოჭორიძე, თ.ხატიაშვილი**

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
16.00სთ-დან - 16.20სთ-მდე

2. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 ოქტომბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. გ.ენუქიძე
16.20სთ-დან - 16.30სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №19 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ.ქსოვრელიშვილი
16.30სთ-დან - 16.40სთ-მდე

4.თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
16.40სთ-დან - 16.50სთ-მდე

5.თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №34 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე
16.50სთ-დან - 17.00სთ-მდე

6.თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნანა ხვისტანის კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
17.00სთ-დან - 17.10სთ-მდე

ნ.ხვისტანმა სთხოვა თავმჯდომარეს დღის წესრიგში საკითხის შეტანა: „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
16.00სთ-დან - 16.20სთ-მდე

თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში შესატან ძირითად ცვლილებებზე განმარტებები გააკეთა **ნ.ვაყელიშვილმა.** მან განმარტა, რომ ნადიკვრის ფანჩატურებზე გათვალისწინებული თანხები გამოთავისუფლდა და აღნიშნული თანხის მობილიზება მოხდა გზების რეაბილიტაციისათვის (ვინაიდან ტენდერები ვერ შედგა).
მან უპასუხა საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

<u>აზრი გამოთქვეს</u>: **გ.მამუკელაშვილმა** დასვა კითხვა სოფელ ქვ.ხოდაშენის მინი სტადიონის მოწყობის შესახებ გათვალისწინებულ თანხის ოდენობაზე, რაზეც **დ.ქსოვრელიშვილმა** გააკეთა შესაბამისი განმარტებები.

დაისვა კითხვები კურდღელაურში ელექტროსადენებთან დაკავშირებით, რაზეც ამომწურავად ისაუბრა და შესაბამისი განმარტებები გააკეთა **გ.მამუკელაშვილმა.** (მან აღნიშნა, რომ სხვა სოფლებშიც არის საჭირო გარე განათებების მოწყობა და ყველა სოფელში თანაბრად უნდა იყოს მიმართული თანხები).

ა.ძულიაშვილმა დასვა კითხვა ნადიკვრის ფანჩატურების მოწყობისათვის გამოცხადებულ ტენდერებზე, თუ რატომ ჩავარდა ტენდერები. აღნიშნულზე **დ.ქსოვრელიშვილმა** გააკეთა შესაბამისი განმარტებები.

ა.მჭედლიშვილმა დასვა კითხვა არშემდგარი ტენდერების თაობაზე (რა მიზეზით არ დგება ტენდერები)

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>2. მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 ოქტომბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. გ.ენუქიძე

16.20სთ-დან - 16.30სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს</u>: **გ.მამუკელაშვილმა** დასვა კითხვა სათბობით უზრუნველყოფისათვის დახმარების რესურსის თაობაზე წლის ბოლომდე.

ზ.ნაცარაშვილმა კი დასვა კითხვა სოციალური სააგენტოს მიერ მინიჭებული ქულების გარეშე დახმარების შესაძლებლობის თაობაზე.

შეკითხვებს უპასუხეს **მომხსენებელმა და გ.ორკოდაშვილმა.**

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>3. მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №19 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ.ქსოვრელიშვილი

16.30სთ-დან - 16.40სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>4.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

16.40სთ-დან - 16.50სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>5.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №34 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე

16.50სთ-დან - 17.00სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ზ.ნაცარაშვილმა** დასვა კითხვა სოფელ რუისპირში არსებული მიწის ნაკვეთზე, რომლებიც არის საპრივატიზაციო ნუსხაში. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთების გასხვისება არ არის მიზანშეწონილი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე.

ბ.რევაზიშვილმა დასვა კითხვა პროექტში აღნიშნული მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლასთან დაკავშირებით.

ა.ძულიაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სრულყოფილად (დეტალურად უნდა მიენიშნოს მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა).

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 20-მა (ოცი) წევრმა, **წინააღმდეგი:** 01(ერთი) წევრი - **ბ.რევაზიშვილი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 2-მა (ორი) წევრმა: **ა.ძულიაშვილმა, ზ.გრიშიკაშვილმა).**

<u>6.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნანა ხვისტანის კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

17.00სთ-დან - 17.10სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> მიღებულ იქნა ცნობად თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნანა ხვისტანის კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულება.

<u>7.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22-მა (ოცდაორი) წევრმა, **კენჭისყრას არ ესწრებოდა ზ.გრიშიკაშვილი).**

საკრებულოს თავმჯდომარე

არჩილი თხლაშიძე